საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N155
2007 წლის 1 მარტი ქ. თბილისი

ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის, 26-ე მუხლის პირველი პუნქტის “მ” ქვეპუნქტის, “საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ” საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, “საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების“ თანდართული დებულება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 22 მაისის N452 (სსმ III, 25.05.2006 წ., N70, მუხ: 883) ბრძანება.
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა. ლომაია

ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

1. ექსტერნატის ფორმით ამა თუ იმ საფეხურზე ზოგადი განათლების მიღება ითვალისწინებს პირის მიერ ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების ან ტრიმესტრის/ტრიმესტრების, ასევე საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების ძირითადად დამოუკიდებლად დაძლევისა და ექსტერნატის გამოცდების ჩაბარების გზით შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების შესაძლებლობას.
2. ექსტერნი წარმოადგენს პირს, რომელიც ამ დებულებით დადგენილი წესით

დარეგისტრირდება, როგორც ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველი პირი.

მუხლი 2. ზოგადი განათლების ექსტერნატის ფორმით დაძლევის უფლება *(6.01.2009 N 04)*

1. პირს უფლება აქვს ექსტერნატის ფორმით ჩააბაროს ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების, ტრიმესტრის/ტრიმესტრების ან/და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები იმ შემთხვევაში, თუ მისი ასაკი შეესაბამება ან აღემატება ექსტერნატის ფორმით დასაძლევი კლასის/ტრიმესტრის, ხოლო საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების შემთხვევაში, იმ კლასის მოსწავლეთა ასაკობრივ ჯგუფს, რომელშიც შემავალი საგნის/საგნების დაძლევა უნდა მოხდეს ექსტერნატის ფორმით და თუ მას დაძლეული აქვს წინმსწრები კლასის/ტრიმესტრის საგანმანათლებლო პროგრამა. *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

2. პირს უფლება აქვს ექსტერნატის ფორმით ჩააბაროს სრული ზოგადი განათლების დამამთავრებელი კლასის სასწავლო პროგრამა, თუ ეს პირი ექსტერნატის ფორმით გამოცდის ჩატარების წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ხდება 18 ან მეტი წლის. ამ შემთხვევაში პირს არ მოეთხოვება სრული ზოგადი განათლების დამამთავრებელი კლასის წინმსწრები კლასის საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევა. *(16.03.2009 N131)*

მუხლი 3. ექსტერნების რეგისტრაციაზე და ექსტერნატის ფორმით გამოცდების ჩატარებაზე უფლებამოსილი ორგანოები

1. ზოგადი განათლების კლასის/კლასების, ტრიმესტრის/ტრიმესტრების და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდისათვის ექსტერნების რეგისტრაციას და სხვა საორგანიზაციო საკითხებს, ამ დებულების შესაბამისად, ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო), ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე შესაბამისი სამინისტროს ტერიტორიული ორგანო – საგანმანათლებლო რესურსცენტრი (შემდგომში - რესურსცენტრი). *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

2. ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების ან/და ტრიმესტრის/ტრიმესტრების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა ტარდება წერითი ფორმით და მას ატარებს სკოლა, გარდა ამ მუხლის 3^1, 3^3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისა. *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

3. ექსტერნატის ფორმით გამოცდების ჩატარების მიზნით სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით იქმნება საგამოცდო კომისია. საგამოცდო კომისია შედგება იმ სკოლის დირექციის წარმომადგენლისაგან, სადაც ტარდება ექსტერნატის გამოცდა, მინიმუმ ერთი იმ საგნის მასწავლებელთაგან,

რომელშიც ტარდება ექსტერნატის გამოცდა და იმ რესურსცენტრის წარმომადგენლისაგან, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარეობს სკოლა.

3^1. საშუალო საფეხურის ცალკეული კლასის/კლასების და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდას, გარდა ამ მუხლის 3^3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისისა, ატარებს ამ მუხლის 3^2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული რესურსცენტრი. *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

3^2. სამინისტრო, ამ დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის საფუძველზე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც გამოცემიდან არა უგვიანეს 2 დღისა ეგზავნება ყველა რესურსცენტრს, განსაზღვრავს: *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

ა) რესურსცენტრებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ჩაატარონ საშუალო საფეხურის ცალკეული კლასის/კლასების და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა, გარდა ამ მუხლის 3^3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისისა;

ბ) იმ რესურსცენტრებს, რომელთა მიერ დარეგისტრირებულმა ექსტერნებმა, ექსტერნატის გამოცდა უნდა ჩააბარონ ამ პუნქტის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე განსაზღვრულ ერთ-ერთ რესურსცენტრში.

3^3. საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის – რუსულის, სომხურის, აზერბაიჯანულის, როგორც მშობლიური ენისა და ლიტერატურის ექსტერნატის გამოცდას, ატარებს ამ დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული სკოლა. *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

4. ექსტერნატის ფორმით სრული ზოგადი განათლების დამამთავრებელი კლასის და ამ კლასში შემავალი ცალკეული საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდას ატარებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი გამოცდების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - გამოცდების ეროვნული ცენტრი). *(1.12.2009 N1066 ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

მუხლი 4. ექსტერნატის ფორმით ჩასაბარებელი საგნები და გამოცდისათვის მომზადება

1. ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების, ტრიმესტრის/ტრიმესტრების და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა ტარდება შესაბამისი კლასისათვის/ტრიმესტრისათვის "ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 28 სექტემბრის №841 ბრძანებით (შემდგომში – ეროვნული სასწავლო გეგმა) გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო საგანში და ექსტერნის მიერ არჩევითი

საგნებიდან შერჩეულ საგანში/საგნებში, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისისა. *(1.12.2009 N1066 ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

2. ამოღებულია *(1.12.2009 N1066 ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

2^1. ამოღებულია *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

3. ექსტერნატის ფორმით გამოცდა არ შეიძლება ჩატარდეს შემდეგ საგნებში: *(16.03.2009 N131)*

ა) ესთეტიკური, შრომითი და ფიზიკური აღზრდა;

ბ) სახელობო განათლება.

3^1.ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების ან/და ტრიმესტრის/ტრიმესტრების ექსტერნატის გამოცდის შემთხვევაში, პირი არ არის უფლებამოსილი არჩევითი საგნის გამოცდა ჩააბაროს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საგნებში. *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

3^2. მოსწავლის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ცალკეული კლასის ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგანში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის გაცდენების დაგროვების შემთხვევაში, აღნიშნული საგნის ზოგადსაგანმანთლებლო პროგრამის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდას, სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ატარებს ის სკოლა, რომელშიც სწავლობს მოსწავლე. *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

4. ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების, ტრიმესტრის/ტრიმესტრების ან/და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების დაძლევა შესაძლებელია ქართულ, რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენებზე. ექსტერნები, რომლებიც ექსტერნატის გამოცდებს აბარებენ რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე, გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში და უცხო ენებში აბარებენ შესაბამისი სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით. *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

5. ამოღებულია *(30.04.2009 N 239)*

5^1. ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების, ტრიმესტრის/ტრიმესტრების ან/და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდის შინაარსს, გარდა ამ დებულების მე-3 მუხლის 3^1 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისა, განსაზღვრავს სკოლა, რომელიც უზრუნველყოფს ექსტერნატის გამოცდების ორგანიზებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოწესრიგებას. *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

6. სკოლა, რომელმაც უნდა ჩაატაროს ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების კლასის/კლასების, ტრიმესტრის/ტრიმესტრების ან/და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების დაძლევის გამოცდები, ვალდებულია: *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

ა) უზრუნველყოს ექსტერნი ყველა საგამოცდო საგანში კონსულტაციის მიღებით;

ბ) უზრუნველყოს ექსტერნი ისარგებლოს ბიბლიოთეკაში არსებული ყველა საჭირო სასწავლო ლიტერატურით და სკოლაში არსებული ტექნიკური საშუალებებით.

7. რესურსცენტრი, რომელშიც ექსტერნი დარეგისტრირდა, ვალდებულია უზრუნველყოს ექსტერნებისათვის ამ დებულების ხელმისაწვდომობა.

მუხლი 5. ექსტერნატის გამოცდა

1. პირს აქვს უფლება ექსტერნატის ფორმით ჩააბაროს რამდენიმე კლასის/ტრიმესტრის დაძლევის გამოცდა შემდეგი პრინციპის დაცვით:

ა) თუ პირის ასაკი სასკოლო ასაკს არ აღემატება, გამოცდა ტარდება თითოეული ტრიმესტრის ან/და კლასისათვის ცალ-ცალკე. ამ პუნქტის მიზნებისათვის სასკოლო ასაკის მაქსიმალური ზღვარი წარმოადგენს სწავლის დაწყების მინიმალურ სასკოლო ასაკს მიმატებული სრული ზოგადი განათლების მიღებისათვის საჭირო სწავლების წლების რაოდენობა;

ბ) თუ პირის ასაკი აღემატება სასკოლო ასაკს, რამდენიმე კლასის ან/და ტრიმესტრის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა ტარდება გაერთიანებულად, გარდა სრული ზოგადი განათლების დამამთავრებელი კლასის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდისა. *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

გ) სრული ზოგადი განათლების საფეხურებში შემავალი რამდენიმე კლასის დაძლევის სურვილის არსებობის შემთხვევაში, რომელთა შორის არის საფეხურის დამამთავრებელი კლასი, პირი, რომლის ასაკი შეესაბამება ან აღემატება სასკოლო ასაკს, გადის მხოლოდ საფეხურის დამამთავრებელი კლასის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაზე, რომლის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში პირს დაძლეულად ეთვლება ზოგადი განათლების ყველა წინა საფეხურის და ყველა კლასის საგანმანათლებლო პროგრამა. *(16.03.2009 N131)*

2. ექსტერნატის ფორმით სრული ზოგადი განათლების დამამთავრებელი კლასის და ამ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის გამოცდები ტარდება წერითი ფორმით, ტესტირების გზით. *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

3. ამოღებულია *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

4. საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა თითოეულ საგანში ტარდება ცალ-ცალკე. *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

მუხლი 6. ექსტერნების რეგისტრაცია

1. ექსტერნატის ფორმით განათლების მიღებაზე სრულწლოვანი დაინტერესებული პირი ან არასრულწლოვანი დაინტერესებული პირის კანონიერი წარმომადგენელი, სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში, სათანადო საბუთებთან ერთად, ექსტერნად რეგისტრაციის თაობაზე განცხადებას რესურსცენტრში წარადგენს შემდეგი წესის დაცვით: *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010*

წლის 1 იანვრიდან)

ა) თუ პირი, რომელსაც სურს ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღება სწავლობს სკოლაში - განცხადება შეიტანება იმ რესურსცენტრში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარეობს შესაბამისი სკოლა;

ბ) თუ პირი არ სწავლობს სკოლაში - განცხადება შეიტანება ნებისმიერ რესურსცენტრში, პირის სურვილის შესაბამისად.

2. ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების დაძლევის მიზნით რესურსცენტრს უნდა წარედგინოს: *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

ა) ექსტერნატის ფორმით განათლების მიღებაზე სრულწლოვანი დაინტერესებული პირის ან არასრულწლოვანი დაინტერესებული პირის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელშიც მიეთითება:

ა.ა) ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონის ნომერი);

ა.ბ) ზოგადი განათლების ცალკეული კლასი/კლასები, ტრიმესტრი/ტრიმესტრები ან საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგანი/საგნები, რომელთა ექსტერნატის ფორმით დაძლევა სურს პირს;

ა.გ) ენა, რომელზეც ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველს სურს ექსტერნატის გამოცდის ჩაბარება (ქართული, რუსული, აზერბაიჯანული, სომხური);

ა.დ) უცხო ენა/ენები, რომელშიც ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველს უნდა ჩაუტარდეს ექსტერნატის გამოცდა, ასეთის საჭიროების შემთხვევაში;

ა.ე) ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი საგანი/საგნები, რომელთა დადებითი შედეგების გამოყენება სურს ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების დაძლევის მსურველს.

ა.ვ) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არჩევითი საგანი/საგნები, რომლის ჩაბარებაც სურს ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების დაძლევის მსურველს.

ბ) ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების ან/და ტრიმესტრის/ტრიმესტრების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაზე რეგისტრაციის შემთხვევაში, დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს პირის მიერ ზოგადი განათლების იმ კლასის/ტრიმესტრის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ათვისებას, რომელიც წინ უსწრებს ექსტერნატის ფორმით დასაძლევ კლასს/ტრიმესტრს. იმ შემთხვევაში, თუ პირმა განათლება საზღვარგარეთ მიიღო, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტი აღიარებული უნდა იყოს „საზღვარგარეთ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ფორმალური ცნობის (აღიარების) და საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ეკვივალენტობისა

და ავთენტიკურობის დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 25 დეკემბრის №1163 ბრძანებით დადგენილი წესით.

დ) საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაზე რეგისტრაციის შემთხვევაში, სკოლის მიერ გაცემულ ცნობას, რომლითაც დასტურდება, რომ პირმა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა უნდა დაძლიოს ექსტერნატის ფორმით.

3. რესურსცენტრი, ექსტერნების რეგისტრაციის ვადის დასრულებიდან 5 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პირის ექსტერნად რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. რესურსცენტრის გადაწყვეტილება პირის ექსტერნად რეგისტრაციის შესახებ ფორმდება რესურსცენტრის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც თითოეული ექსტერნისათვის შეიცავს შემდეგ მონაცემებს: *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

ა) ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების, ტრიმესტრის/ტრიმესტრების ან/და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ჩამონათვალს, რომლის დაძლევაც უნდა განხორციელდეს ექსტერნატის ფორმით, ენობრივი თავისებურებების მითითებით.

ბ) ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაში შემავალ საგანს/საგნებს, რომელთა დადებითი შედეგების გამოყენება სურს ექსტერნს;

გ) უცხო ენას/ენებს, რომელშიც თითოეულ ექსტერნს უნდა ჩაუტარდეს ექსტერნატის გამოცდა, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

დ) ამ დებულების მე-3 მუხლის მე-2 და 3^3 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში იმ სკოლის სახელწოდებას და მისამართს, რომელმაც უნდა ჩაატაროს ექსტერნატის გამოცდა;

ე) ამ დებულების მე-3 მუხლის 3^1 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში იმ სკოლის სახელწოდებას და მისამართს, სადაც რესურსცენტრი ატარებს ექსტერნატის გამოცდას.

4. რესურსცენტრი, თუ მის სამოქმედო ტერიტორიაზე არ არსებობს სკოლა, რომელიც სწავლებას ახორციელებს შესაბამის არაქართულ ენაზე, უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ ვადაში, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უარი უთხრას არაქართულ ენაზე ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველს ექსტერნად დარეგისტრირებაზე და ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველთან შეთანხმებით ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები სარეგისტრაციოდ გადაუგზავნოს იმ რესურსცენტრს, რომელიც უზრუნველყოფს არაქართულ ენაზე ექსტერნატის ფორმით გამოცდების ჩატარებას.

მუხლი 7. ექსტერნატის გამოცდის ორგანიზება *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

1. ამ დებულების მე-3 მუხლის მე-2 და 3^3 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში ექსტერნატის გამოცდები ტარდება რესურსცენტრის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით განსაზღვრული, ამავე რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარე სკოლის მიერ.

2. რესურსცენტრი, სამინისტროს მიერ დადგენილ ვადაში, ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განსაზღვრულ სკოლას, მის მიერ ჩასატარებელ ექსტერნატის გამოცდებთან დაკავშირებით, უგზავნის ამ დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლს ექსტერნების მიერ რეგისტრაციის დროს წარმოდგენილ დოკუმენტიაციასთან ერთად და უზრუნველყოფს ექსტერნებისათვის მის ხელმისაწვდომობას.

3. რესურსცენტრი, ექსტერნატის გამოცდებში მონაწილე ექსტერნებთან დაკავშირებით, გარდა ამ დებულების მე-3 მუხლის მე-2, 3^3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ექსტერნატის გამოცდებში მონაწილე ექსტერნებისა, ამ დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლს, მისი გამოცემიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, აგზავნის სამინისტროში.

4. რესურსცენტრი, ამ დებულების მე-3 მუხლის 3^2 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისთვის წარდგენიდან არა უგვიანეს 2 დღის ვადაში შესაბამის რესურსცენტრს უგზავნის ექსტერნების მიერ წარმოდგენილ ყველა დოკუმენტაციას და ამ დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლს.

5. სრული ზოგადი განათლების დამამთავრებელი კლასის და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის მსურველ ექსტერნებთან დაკავშირებით რესურსცენტრი სამინისტროს მიერ დადგენილ ვადაში ამ დებულების მე–6 მუხლის მეორე პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განცხადებისა და ამ დებულების მე–6 მუხლის მე–3 პუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტის ასლებს უგზავნის გამოცდების ეროვნულ ცენტრს და უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას.

6. ამ დებულების მე-3 მუხლის 3^2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის საფუძველზე განსაზღვრული რესურსცენტრი, ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მიღებიდან არა უგვიანეს 2 დღის ვადაში გამოცდების ეროვნულ ცენტრს უგზავნის მოთხოვნას საშუალო საფეხურის მე-10-მე-11 კლასებისა და ამ კლასებში შემავალი საგნების საგამოცდო ტესტების დამზადების შესახებ და აწვდის შევსებულ ანკეტას, რომლის ფორმას, გამოცდების ეროვნული ცენტრის წარდგინების საფუძველზე, ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს სამინისტრო.

7. ამ დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ექსტერნატის გამოცდის ჩატარების უზრუნველყოფისათვის, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული საგამოცდო ტესტების შექმნას და მათ ექსტერნატის გამოცდაზე მიტანას უზრუნველყოფს გამოცდების ეროვნული ცენტრი საგამოცდო ტესტების კონფიდენციალობის სრული დაცვით.

8. ამ დებულების მე-3 მუხლის 3^1 პუნქტით გათვალისწინებული ექსტერნატის გამოცდის რესურსცენტრის მიერ ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე საგამოცდო ტესტებს ადგენს გამოცდების ეროვნული ცენტრი.

9. რესურსცენტრი, საგამოცდო ტესტების კონფიდენციალობის სრული დაცვით, ექსტერნატის გამოცდის დაწყებამდე არა უგვიანეს 1 დღით ადრე უზრუნველყოფს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შედგენილი და დამზადებული საჭირო რაოდენობის საგამოცდო ტესტებისა და შესაბამისი პასუხების გამოცდების ეროვნული ცენტრიდან წაღებას.

10. რესურსცენტრი და გამოცდების ეროვნული ცენტრი პასუხისმგებელია საგამოცდო ტესტების კონფიდენციალობის სრულ დაცვაზე.

11. ამ დებულების მე-3 მუხლის 3^1 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ექსტერნატის გამოცდები ტარდება რესურსცენტრის/გამოცდების ეროვნული ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული საჯარო სკოლის ან რესურსცენტრის შენობაში (შემდგომში - საგამოცდო ცენტრი).

მუხლი 7^1. ექსტერნატის გამოცდის ჩატარების ვადები და ექსტერნატის გამოცდის განრიგი *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

1. ექსტერნატის გამოცდის ჩატარების ვადებს, ასევე საშუალო საფეხურის ცალკეული კლასის/კლასების და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდის ჩატარების განრიგს და ამ დებულების მე-9 მუხლის მე-9 პუნქტის გათვალისწინებით გამოცდის დაწყებისა და დასრულების დროს, გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისისა, ადგენს სამინისტრო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დადგენილი ექსტერნატის გამოცდის ჩატარების ვადების დაცვით, ამ დებულების მე-3 მუხლის მე-2 და 3^3 პუნქტებით გათვალისწინებული ექსტერნატის გამოცდის ჩატარების განრიგს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს შესაბამისი სკოლის დირექტორი.

3. ამ დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ექსტერნატის გამოცდის ჩატარების განრიგს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს გამოცდების ეროვნული

ცენტრი.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული განრიგი შედგენილი უნდა იყოს ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნას ექსტერნატის გამოცდის ჩატარების ვადებში ზოგადი განათლების რამდენიმე კლასის/ტრიმესტრის/საგნის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ექსტერნატის ფორმით დაძლევის შესაძლებლობა.

5. სრული ზოგადი განათლების დამამთავრებელი კლასის ან ამ კლასში შემავალი საგნის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა ტარდება წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს მაისის თვისა, ხოლო ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/ ტრიმესტრის/ტრიმესტრების და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა - წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს აგვისტოს თვისა.

6. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობისას, გამოცდების ეროვნული ცენტრი/რესურსცენტრი/სკოლა ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ შეატყობინოს სამინისტროს. ექსტერნატის გამოცდა ტარდება ამ გარემოების დასრულებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი თარიღის შესაბამისად. ექსტერნატის გამოცდის ჩატარების მიზნით, გამოცდების ეროვნული ცენტრი ამ დებულების მე-7 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად უზრუნველყოფს ახალი საგამოცდო ტესტების შექმნას.

მუხლი 8. ექსტერნატის გამოცდაზე დასწრება *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

1. ამ დებულების მე-3 მუხლის 3^1 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ექსტერნატის გამოცდების მიმდინარეობისას საგამოცდო ცენტრში დაშვებულია მხოლოდ შემდეგი პირების ყოფნა:

ა) სამინისტროსა და გამოცდების ეროვნული ცენტრის/რესურსცენტრის უფლებამოსილი წარმომადგენლები;

ბ) მეთვალყურე - გამოცდების ეროვნული ცენტრის/რესურსცენტრის მიერ უფლებამოსილი პირი, რომელიც მეთვალყურეობას უწევს ექსტერნატის გამოცდის ჩატარების პროცესს.

2. საგამოცო ცენტრში ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ყოფნამ ხელი არ უნდა შეუშალოს საგამოცდო პროცესის მიმდინარეობას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებს ეკრძალებათ ნებისმიერი ფორმით ექსტერნის დახმარება ან მათი მუშაობისთვის ხელის შეშლა.

მუხლი 9. ექსტერნატის გამოცდის პროცედურა *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

1. ამ დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ექსტერნატის გამოცდების დაწყებამდე ექსტერნების წერითი ნამუშევრების ანონიმურობის უზრუნველსაყოფად გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ხდება

საგამოცდო ტესტების კოდირება.

2. საგამოცდო ცენტრში ექსტერნი უნდა გამოცხადდეს ექსტერნატის გამოცდის დაწყებამდე ერთი საათით ადრე და გაიაროს რეგისტრაცია.

3. საგამოცდო ცენტრში რეგისტრაციის გასავლელად ექსტერნი ვალდებულია წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ დოკუმენტი უცხო ენაზეა შედგენილი, ასევე სანოტარო წესით დამოწმებული ქართული თარგმანი.

4. რეგისტრაციის შემდეგ ექსტერნი განთავსებულ იქნება მისთვის განკუთვნილ სამუშაო მაგიდასთან.

5. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, ასევე ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის გარეშე ექსტერნი ექსტერნატის გამოცდაზე არ დაიშვება.

6. ექსტერნატის გამოცდაზე გამოუცხადებლობა ექსტერნს ართმევს უფლებას მოითხოვოს დამატებითი ექსტერნატის გამოცდის ჩატარება, მიუხედავად იმისა გამოცდაზე გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული თუ არა.

7. ტესტზე მუშაობის დაწყებამდე ექსტერნი უნდა დარწმუნდეს, რომ მისთვის გადაცემული საგამოცდო ტესტურ დავალებათა რვეული და პასუხების ფურცელი არ არის დაზიანებული, რასაც იგი ადასტურებს საგამოცდო სექტორის უწყისში ხელმოწერით.

8. გამოცდის დაწყებამდე ექსტერნებს მოკლედ გააცნობენ გამოცდის ჩატარებისა და საგამოცდო ტესტურ დავალებათა რვეულის გამოყენებისა და პასუხების ფურცლის შევსების წესებს, მათ უფლება-მოვალეობებს, რის შემდეგაც დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა. მეთვალყურე უზრუნველყოფს, რომ დროის ათვლამდე ექსტერნებს არ ჰქონდეთ მუშაობის დაწყების საშუალება.

9. ექსტერნატის გამოცდა ყველა საგამოცდო ცენტრში იწყება და მთავრდება ერთდროულად.

10. საგამოცდო დროის ამოწურვამდე სამუშაოს დამთავრების შემთხვევაში ექსტერნს უფლება აქვს, ტესტურ დავალებათა რვეულისა და პასუხების ფურცლის ჩაბარების შემდეგ დატოვოს დარბაზი მეთვალყურის ან მის მიერ ამისთვის გამოყოფილი საგამოცდო პროცესის მონაწილე სხვა პირის თანხლებით.

11. საგამოცდო დროის ამოწურვის ან ექსტერნის მიერ სამუშაოს დასრულების შემდეგ მეთვალყურე ამოწმებს თითოეული ექსტერნის ტესტურ დავალებათა რვეულის გვერდების რაოდენობას, პასუხების ფურცელზე კოდის დაუზიანებლობას და ექსტერნის მიერ უწყისში ხელმოწერის შემდეგ იბარებს მათ.

12. ჩაბარებული ტესტურ დავალებათა რვეულები და პასუხების ფურცლები იკვრება, ილუქება და იგზავნება გამოცდების ეროვნულ ცენტრში ან შესაბამის რესურსცენტრში.

მუხლი 10. ექსტერნის ვალდებულებები *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

1. ამ დებულების მე-3 მუხლის 3^1 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ ექსტერნატის გამოცდებზე ექსტერნი ვალდებულია:

ა) დაუგვიანებლად გამოცხადდეს გამოცდაზე;

ბ) თან იქონიოს ბურთულიანი ავტოკალამი (შავი, ლურჯი ან იისფერი);

გ) სამუშაოს დამთავრების შემდეგ საგამოცდო ტესტის ჩაბარებისას ხელი მოაწეროს საგამოცდო უწყისში;

დ) შეასრულოს ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებანი და მეთვალყურის მითითებანი.

2. ამ დებულების მე-3 მუხლის 3^1 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ექსტერნატის გამოცდის მსვლელობისას ექსტერნს უფლება აქვს თან იქონიოს:

ა) წყალი;

ბ) პირადი ჰიგიენის საგნები;

გ) ამ დებულების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები.

3. ამ დებულების მე-3 მუხლის 3^1 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ ექსტერნატის გამოცდების მსვლელობისას ექსტერნს ეკრძალება:

ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;

ბ) გამოცდაზე დამხმარე მასალის - სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების და სხვათა გამოყენება;

გ) პასუხების ფურცლის შესავსებად განსხვავებული ფერის (წითელი, მწვანე,...) მელნის გამოყენება, აგრეთვე, პასუხების ფურცელზე მაიდენტიფიცირებელი ნიშნის (სახელი, ნომერი, მისამართი და სხვა) ან რაიმე სახის ისეთი გრაფიკული გამოსახულების (ფიგურა, წარწერა და ა.შ.) დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან;

დ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა ექსტერნებისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;

ე) სამუშაო ადგილის უნებართვოდ დატოვება. სამუშაო ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ ამ დებულების მე-8 მუხლის პირველ პუნქტში მოყვანილ ერთ-ერთ პირთან ერთად.

ვ) სამუშაო მაგიდაზე ტესტურ დავალებათა რვეულის, პასუხების ფურცლის, საწერი კალამის და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარდა სხვა ნივთების მოთავსება;

ზ) საგამოცდო ტესტზე მუშაობის დაწყება მეთვალყურის მითითების გარეშე;

თ) საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ საგამოცდო ტესტზე მუშაობის გაგრძელება.

მუხლი 11. საგამოცდო პროცესის კონტროლი *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

1. ამ დებულების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნივთების გარდა სხვა ნივთების აღმოჩენისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის "ბ"-"ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში ექსტერნს მიეცემა გაფრთხილება.

2. ამ დებულების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით

გათვალისწინებული მოქმედების ჩადენაში შემჩნეულ ექსტერნს მიეცემა გაფრთხილება და ჩამოერთმევა პასუხების ფურცელი, რომლის ნაცვლადაც გადაეცემა სარეზერვო პასუხების ფურცელი.

3. ამ დებულების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის "ბ"-"ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების განმეორებით დარღვევის შემთხვევაში ექსტერნი მოიხსნება ექსტერნატის გამოცდიდან.

4. გაფრთხილების გარეშე ექსტერნის მოხსნა ექსტერნატის გამოცდიდან შესაძლებელია:

ა) ამ დებულების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული აპარატურის აღმოჩენის შემთხვევაში;

ბ) წესრიგის უხეში დარღვევის, საგამოცდო პროცესის მონაწილე პირის შეურაცყოფის ან სხვა მსგავს შემთხვევაში.

5. ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული მოქმედებები ფორმდება გამოცდების ეროვნული ცენტრის/რესურსცენტრის წარმომადგენლის მიერ შედგენილი ოქმებით, რომელთა ფორმა დამტკიცებულია გამოცდების ეროვნული ცენტრის/რესურსცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 11[1]. ექსტერნების ნაშრომების გასწორება *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

1. სკოლის მიერ ჩატარებულ ექსტერნატის გამოცდაზე ექსტერნის შეფასება ხდება ამ დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე შექმნილი საგამოცდო კომისიის მიერ გამოცდის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში.

2. ამ დებულების მე-3 მუხლის 3[1] პუნქტით გათვალისწინებული ექსტერნატის გამოცდების შემთხვევაში, რესურსცენტრი, ექსტერნის საგამოცდო ტესტის პასუხების ფურცლების გასწორებას ახდენს შრომითი ხელშკრულების საფუძველზე დაქირავებული გამსწორებლების მიერ გამოცდის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში. გამსწორებლები პასუხების ფურცელში მითითებულ მონაცემებს უდარებენ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ რესურსცენტრისათვის მიწოდებულ შესაბამისი საგამოცდო ტესტის სწორ პასუხებს.

3. რესურსცენტრის მიერ მოწვეულ გამსწორებლებს საგამოცდო ტესტის პასუხების ფურცელი გადაეცემათ კოდირებული ფორმით. გამსწორებლებისთვის არ უნდა იქნას ცნობილი იმ ექსტერნის სახელი და გვარი, რომელმაც შეავსო საგამოცდო ტესტის პასუხების ფურცელი.

4. საგამოცდო ტესტის პასუხების ფურცელი, რომლის შევსებისას გამოყენებულ იქნება ამ დებულების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ფერის მელანი ან რომელიც შეიცავს მაიდენტიფიცირებელ ნიშანს ან რაიმე სახის გამოსახულებას (რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან) არ გასწორდება.

5. ამ დებულების მე–10 მუხლის მე–3 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში საგამოცდო ტესტის პასუხების ფურცელი არ გასწორდება.

6. რესურსცენტრი და გამოცდების ეროვნული ცენტრი, ამ დებულების მე-3 მუხლის 3^1 პუნქტით გათვალისწინებული ექსტერნატის გამოცდების ჩატარებიდან არაუგვიანეს 7 დღისა, უზრუნველყოფენ რესურსცენტრის მიერ ჩატარებული ექსტერნატის გამოცდაზე გამოყენებული საგამოცდო ტესტებისა და საგამოცდო ტესტის პასუხების განთავსებას საკუთარ ოფიციალურ ვებ–გვერდებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

7. ამ დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ექსტერნატის გამოცდების შემთხვევაში, გამოცდების ეროვნული ცენტრი ექსტერნის საგამოცდო ტესტის პასუხების ფურცლების გასწორებას უზრუნველყოფს გამოცდების ჩატარებიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში.

მუხლი 11^2. ექსტერნის შეფასება *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

1. ექსტერნის შეფასება ხდება 10 ქულიანი სისტემის მეშვეობით.

2.ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების ან/და ცალკეული კლასის ტრიმესტრის/ტრიმესტრების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაზე ექსტერნმა თითოეულ საგამოცდო საგანში უნდა მიიღოს შეფასება არანაკლებ 4 ქულისა, დამრგვალების გარეშე. ზოგადი განათლების კლასის/ტრიმესტრის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდის წარმატებით დაძლევისათვის ექსტერნის მიერ საგამოცდო საგნებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკული ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად დამრგვალების შედეგად უნდა შეადგენდეს არანაკლებ 5.1 ქულას.

3. საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდის წარმატებით დაძლევისათვის ექსტერნის მიერ შესაბამისი საგნის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაში მიღებული შეფასება ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად დამრგვალების შედეგად უნდა შეადგენდეს არანაკლებ 5 ქულას.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგამოცდო საგნებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკული მრგვალდება ათეულის სიზუსტით (მაგალითად, 6.55 მრგვალდება 6.6-ზე, 7.58 მრგვალდება 7.6-ზე, ხოლო 9.43 მრგვალდება 9.4-ზე). აღნიშნულიდან გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როცა შეფასება, რომელიც მეტია 5.0-ზე და ნაკლებია 5.1-ზე მრგვალდება 5.1-მდე.

5. საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაში მიღებული შეფასება მრგვალდება ერთეულების სიზუსტით (მაგალითად, შეფასება, რომელიც მეტია 4.0-ზე და ნაკლებია 5.0-ზე მრგვალდება 5-მდე).

მუხლი 12. ექსტერნატის გამოცდის შედეგები *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010*

წლის 1 იანვრიდან)

1. სკოლის დირექტორი/რესურსცენტრის უფროსი/გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი, ამ დებულების 11^1 მუხლის პირველი, მე-2, მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს 3 დღისა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით ამტკიცებს ექსტერნატის გამოცდების შედეგებს,კერძოდ:

ა) ექსტერნატის გამოცდაზე მიღებული შეფასებების მითითებით იმ ექსტერნების ნუსხას, რომლებმაც ექსტერნატის გამოცდა დაძლიეს წარმატებით;

ბ) ექსტერნატის გამოცდაზე მიღებული შეფასებების მითითებით იმ ექსტერნების ნუსხას, რომლებმაც ექსტერნატის გამოცდები ვერ დაძლიეს.

2. გამოცდების ეროვნული ცენტრი ექსტერნატის გამოცდების ჩატარებიდან არა უგვიანეს 15 დღის ვადაში იმ რესურსცენტრში, რომელშიც პირი დარეგისტრირდა ექსტერნად, აგზავნის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლს.

3. გამოცდების ეროვნული ცენტრი ექსტერნატის გამოცდების ჩატარებიდან არა უგვიანეს 15 დღის ვადაში სამინისტროში წარადგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლს და პირთა ნუსხას, რომლებმაც მოიპოვეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ექსტერნატის ფორმით დაძლევის საფუძველზე გაცემული სრული ზოგადი განათლების ატესტატი, იმ ინფორმაციის მითითებით, თუ რომელ რესურსცენტრში დარეგისტრირდა თითოეული ასეთი პირი ექსტერნად.

4. ექსტერნს უფლება აქვს ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი საგნის/საგნების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაში მიღებული დადებითი შედეგები გამოიყენოს უვადოდ.

5. ექსტერნების განცხადებები, წერითი ნამუშევრები, ექსტერნატის გამოცდასთან დაკავშირებული და ექსტერნების მიერ წარმოდგენილი სხვა დოკუმენტაცია ინახება იმ რესურსცენტრში, რომელმაც ჩაატარა გამოცდა. სკოლის მიერ ჩატარებულ ექსტერნატის გამოცდაზე შექმნილი საგამოცდო ოქმები, წერითი ნამუშევრები და გამოცდასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია ინახება შესაბამის სკოლაში. იმ ექსტერნებთან დაკავშირებული განცხადებები და ექსტერნების მიერ წარმოდგენილი სხვა დოკუმენტაცია, რომელთაც ჩააბარეს ამ დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ექსტერნატის გამოცდები, ინახება იმ რესურსცენტრში, რომელშიც პირი დარეგისტრირდა ექსტერნად, ხოლო მათი საგამოცდო ოქმები, წერითი ნამუშევრები და გამოცდებთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია - გამოცდების ეროვნულ ცენტრში.

მუხლი 13. გასაჩივრების წესი *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

1. ექსტერნატის გამოცდის პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებული პრეტენზიები წარედგინება სამინისტროში ექსტერნატის გამოცდის ჩატარებიდან არა უგვიანეს 2 დღის ვადაში.

2. ექსტერნატის გამოცდის შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიები წარედგინება შემდეგი წესით:

ა) ამ დებულების მე-3 მუხლის მე-2, 3^1 და 3^3 პუნქტებით გათვალისწინებულ ექსტერნატის გამოცდებთან დაკავშირებით - სამინისტროში, გამოცდის ჩატარებიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში;

ბ) ამ დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ექსტერნატის გამოცდებთან დაკავშირებით - სამინისტროში, ექსტერნატის გამოცდის ჩატარებიდან არა უგვიანეს 15 დღის ვადაში.

3. ექსტერნატის გამოცდასთან დაკავშირებით წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქნება საპრეტენზიო საბჭო (შემდგომში – საბჭო). ამავე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საბჭოს მდივანი.

4. საბჭო განიხილავს სკოლის/რესურსცენტრის/გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ექსტერნატის გამოცდის პროცედურულ დარღვევებთან და ექსტერნატის გამოცდის შედეგებთან დაკავშირებულ პრეტენზიებს.

5. საბჭოს სხდომებს იწვევს და უძღვება საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს თავმჯდომარის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს ასრულებს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

6. საბჭო პრეტენზიებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ამ ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული შესაბამისი საპრეტენზიო განაცხადების წარდგენიდან დასრულებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში.

7. საბჭოს უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. საბჭოს გადაწყვეტილებები აისახება შესაბამისი სხდომის ოქმში, რომელიც მიიღება საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობით და რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

8. საპრეტენზიო განაცხადთან დაკავშირებული საბჭოს გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 13^1. ექსტერნატის გამოცდის პროცედურული დარღვევების გასაჩივრება *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

1. ექსტერნატის გამოცდის პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებული საპრეტენზიო განაცხადი ექსტერნის მიერ წარდგენილ უნდა იქნას სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

2. ექსტერნატის გამოცდის პროცედურული დარღვევების თაობაზე ექსტერნის მიერ წარდგენილი დასაბუთებული საპრეტენზიო განაცხადი შეიძლება ეხებოდეს:

ა) პრეტენზიის წარმდგენი ექსტერნის უფლებების დარღვევას ექსტერნატის გამოცდის მონაწილე სხვა პირის მიერ;

ბ) სხვა ექსტერნის მიმართ ექსტერნატის გამოცდის პროცედურის დადგენილი წესის დარღვევას გამოცდის პროცესის მონაწილე სხვა პირების მიერ (ექსტერნისათვის დახმარების აღმოჩენა და ა.შ).

3. ექსტერნატის გამოცდის პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის დადასტურების შემთხვევაში საბჭომ შეიძლება მიიღოს ერთ-ერთი ან ერთდროულად რამდენიმე ქვემოთმოყვანილი გადაწყვეტილება:

ა) ექსტერნის უფლებების დარღვევის დადასტურებისას - მისი ნაშრომის გასწორების თაობაზე (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში);

ბ) ექსტერნის მიერ ექსტერნატის გამოცდის პროცედურული დარღვევისას - მისი ნაშრომის არ შეფასების თაობაზე;

გ) ექსტერნატის გამოცდის პროცესის მონაწილის მიერ საგამოცდო პროცედურის დარღვევისას - მისი უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე.

4. საბჭოს მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, რესურსცენტრი/გამოცდების ეროვნული ცენტრი ექსტერნატის გამოცდის პროცესის მონაწილესთან შეწყვეტს ხელშეკრულებას და არ აუნაზღაურებს ექსტერნატის გამოცდის პროცედურის დარღვევის დღესა და შემდგომ დღეებში შესრულებულ სამუშაოს.

5. სამინისტრო უზრუნველყოფს საბჭოს გადაწყვეტილებების განმცხადებლებისათვის, ასევე შესაბამისი სკოლის/რესურსცენტრისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის გაცნობას საპრეტენზიო განაცხადების განხილვის ვადის დასრულებიდან არა უგვიანეს 3 დღის ვადაში.

მუხლი 13[2]. ექსტერნატის გამოცდის შედეგების გასაჩივრება *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

1. ექსტერნატის გამოცდის შედეგებთან დაკავშირებული ექსტერნის საპრეტენზიო განაცხადში მითითებული უნდა იყოს იმ საკითხის/დავალების შესახებ, რომლის თაობაზეც წარდგენილია საპრეტენზიო განაცხადი. საბჭო იხილავს მხოლოდ იმ საკითხის/დავალების შეფასების სისწორეს, რომელიც მითითებული იყო საპრეტენზიო განაცხადში. საპრეტენზიო განაცხადში საკითხზე/დავალებაზე მითითების არ არსებობის შემთხვევაში, განიხილება ექსტერნის ნამუშევარში შემავალი ყველა საკითხის/დავალების შეფასების სისწორე. 2. სამინისტრო უზრუნველყოფს საბჭოს გადაწყვეტილებების განმცხადებლებისათვის, ასევე შესაბამისი სკოლის/რესურსცენტრისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის გაცნობას საპრეტენზიო განაცხადების განხილვის ვადის დასრულებიდან არა უგვიანეს 3 დღის ვადაში.

მუხლი 14. ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების დამადასტურებელი

დოკუმენტის გაცემა

1. ექსტერნატის ფორმით განათლების დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტი გაიცემა ექსტერნატის გამოცდისა და გასაჩივრების შედეგების საფუძველზე. *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

2. თუ პირი ექსტერნატის ფორმით წარმატებით დაძლევს რამდენიმე კლასის სასწავლო პროგრამას, რომელიც მოიცავს საბაზო საფეხურის დამამთავრებელ კლასს, მასზე უნდა გაიცეს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ექსტერნატის ფორმით დაძლევის საფუძველზე სრული ზოგადი განათლების ატესტატს გასცემს სამინისტრო, რომელიც წარმოადგენს სამინისტროს მკაცრი აღრიცხვის ფორმას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. *(3.06.2009 N 364)*

4. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ექსტერნატის ფორმით დაძლევის საფუძველზე სრული ზოგადი განათლების ატესტატებს ავსებს სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი და შევსებულ ატესტატებს გადასცემს იმ რესურსცენტრს, რომელშიც დაინტერესებული პირი დარეგისტრირდა ექსტერნად, ხოლო რესურსცენტრი უზრუნველყოფს მათ გაცემას შესაბამისი პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით. *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

მუხლი 15. ამოღებულია *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*

მუხლი 16. გარდამავალი დებულებანი *(3.06.2009 N 364)*

1. სამინისტრო საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ექსტერნატის ფორმით დაძლევის საფუძველზე სრული ზოგადი განათლების ატესტატს, ექსტერნატის ფორმით შესაბამისი გამოცდების გავლის გარეშე, გასცემს იმ ლტოლვილებზე, რომელთა მიმართ სახელმწიფომ ვერ შეასრულა 1997 წლის "ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის კონვენციით" გათვალისწინებული ვალდებულება დაედასტურებინა მათ მიერ სრული ზოგადი განათლების მიღება და რომელთაც 2006 ან 2007 წლებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოიპოვეს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლება.

2. სამინისტროს მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ექსტერნატის ფორმით დაძლევის საფუძველზე სრული ზოგადი განათლების ატესტატის გაცემა უნდა მოხდეს შესაბამისი დაინტერესებული პირის წერილობითი განცხადების, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული ლტოლვილის მოწმობისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების 2006 ან 2007 წლის კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე.

3. ზოგადი განათლების ცალკეული კლასის ტრიმესტრის/ტრიმესტრების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდები შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ

2009-2010 სასწავლო წლის დასასრულამდე. *(1.12.2009 N1066ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)*